

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების

დანართი N15 - ელვა

1. **ელვა ფულადი გზავნილის** გაგზავნა ან/და მიღება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში და მხოლოდ ბანკის საშუალებით.
2. **ფულადი გზავნილის** გაგზავნა ან/და მიღება შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირს. **ფულადი გზავნილის** მიღება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში **ფულადი გზავნილის** მიმღები ბანკში წარადგენს **ფულადი გზავნილის** უნიკალურ ნომერს და გამგზავნის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, სულ მცირე გამგზავნის სახელს და გვარს.
3. **ელვას** საშუალებით **ფულადი გზავნილის** გაგზავნა შესაძლებელია **სერვის-ცენტრის, ინტერნეტ ბანკის, თვითმომსახურების ტერმინალის** ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. **ელვას** საშუალებით **ფულადი გზავნილის** მიღება შესაძლებელია სერვისცენტრში, **ტელეფონ ბანკის, მობილ ბანკი, ინტერნეტბანკი, თვითმომსახურების ტერმინალის** ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. **იმ შემთხვევაში თუ ელვა ფულადი გზავნილი** გაგზავნა ხორციელდება იმ პირის მიერ, რომელიც არ არის ბანკის კლიენტი, სავალდებულოა რომ ამ პირმა გაიაროს იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია ბანკში დადგენილი სტანდარტული პროცედურის მიხედვით. ამასთან, **ტელეფონ ბანკის, თვითმომსახურების ტერმინალის, მობილბანკის, ინტერნეტბანკის** საშუალებით **ფულადი გზავნილის** მიღებისას აუცილებელია **ფულადი გზავნილის** მიმღები ფლობდეს ბანკის ბარათს.
6. **ელვა ფულადი გზავნილის** გაგზავნა/მიღება შესაძლებელია ლარში, აშშ დოლარში, ევროში.
7. **ელვა ფულადი გზავნილის** მიღება დაშვებულია შესაბამისი ფორმით დამოწმებული მინდობილობის/რწმუნებულების საფუძველზე.
8. შესაძლებელია **ფულადი გზავნილის** დაბრუნება, რაც გულისხმობს გამგზავნისათვის **ფულადი გზავნილის** თანხის უკან დაბრუნებას, იმ შემთხვევაში თუ **ფულადი გზავნილი** ჯერ კიდევ არ არის განაღდებული მიმღების მიერ. ამასთან **ფულადი გზავნილის** დაბრუნების შემთხვევაში დაბრუნებას არ ექვემდებარება გამგზავნის მიერ გადახდილი **საკომისიო**.
9. გამგზავნი უფლებამოსილია მოახდინოს **ფულადი გზავნილის** რედაქტირება, რაც გულისხმობს **ფულად გზავნილში** მითითებული მიმღების სახელის და გვარის ცვლილებას, იმ შემთხვევაში თუ **ფულადი გზავნილი** ჯერ კიდევ არ არის განაღდებული მიმღების მიერ. **ფულადი გზავნილის** სხვა ნებისმიერი პარამეტრის ცვლილება საჭროებს **ფულადი გზავნილის** დაბრუნებას და ახალი გზავნილის განხორციელებას, რა დროსაც გამგზავნის მიერ გადახდილი **საკომისიო** არ ბრუნდება.